წყალტუბოს მუნიციპალიპეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 11

ქ. წყალტუბო 9 აგვისტო , 2022 წელი

2022 წლის 9 აგვისტოს, 12:00 საათზე ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სერგო კირკიტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი დოლიძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, შალვა კილაძე, რევაზ დიდავა, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი,

საკრებულოს წევრები: ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, გელა ბურჯალიანი, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, როინ როხვაძე, ნოდარ ასათიანი.

სხდომას არ ესწრებოდნენ : ზურაბ ლექვინაძე, ვლადიმერ ხურცია, ჯეირან ომანაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დევი დოლაბერიძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, ფიქრია ერემეიშვილი, გალაქტიონ ხარაბაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-მაია ბერაძე, საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ირინა ჩაკვეტაძე, თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა. მან საკრებულოს წევრებსა და სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა ბურჯალიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხს:მაკა ჭელიძე/

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი №29.17.35.013) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის აუქციონის წესით, იჯარის უფლებით, 5(ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის № გ-49.492221014) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა/

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:
მომხრე-30
წინააღმდეგი-0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა ბურჯალიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ საკრეულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე- 30
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობილ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის - მამუკა საღარეიშვილის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის გელა ბურჯალიანის უფლებამოსილება 2022 წლის 9 აგვისტოდან და განკარგულების პროექტი ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა ბურჯალიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ" მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.
2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი №29.17.35.013) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის აუქციონის წესით, იჯარის უფლებით, 5(ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე", წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის № გ-49.492221014) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-30

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი №29.17.35.013) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის აუქციონის წესით, იჯარის უფლებით, 5(ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის № გ-49.492221014) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე